ხეზე მხატვრული კვეთა (ხელით)

მოკლევადიანი პროგრამის მიზანია მსმენელს შეასწავლოს ხის მხატვრული დამუშავებისას შრომის, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვა, ხის ნაკეთობების ხელის კვეთის ტექნოლოგია ძირითადი პრაქტიკული უნარების გამომუშავების გზით.

პროგრამაში ისწავლება:

- ✓ ხის მხატვრული დამუშავებისას შრომის, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვა
- ✓ სამუშაო ადგილის ორგანიზაცია ხის მხატვრული დამუშავებისას
- ✓ ხის მარტივი ნაკეთობების დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალების, ხელის სამარჯვების, საჭრისების და ინსტრუმენტების გამოყენება
- ✓ ხის მხატვრული დამუშავება - ხეზე კონტურული და გეომეტრიული კვეთის ტექნოლოგიების გამოყენება - მზა გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტის გადატანა ხეზე, ორნამენტის კვეთა ხეზე
- ✓ ხის მხატვრულად დამუშავებული ნაკეთობებზე - თეფშზე, ფიალაზე, სასანთლეზე ორნამენტების კვეთა და მოპირკეთება

პროგრამის სწავლებისას გამოიყენება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ფორმატი, ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობის სახით (ჩვენება-დემონსტრირება, მოსმენა-გაგება, ინსტრუქტაჟი, პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მინიმალური ასაკი 18 წელი;
- ქალაქ თბილისში რეგისტრაცია;

პროგრამაზე მოხვედრის ეტაპები:

- დოკუმენტაციის გადარჩევა;
- გასაუბრება.

სწავლების ვადა: 2 თვე

დასაქმების სფერო: დიდი და მცირე ხის საწარმოები, თვითდასაქმება.